პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 53 (12869) | ოთხშაბათი, 4 მარტი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- წიგნი ვ. ი. ლენინის ცხოვრებაში
- მზიური აფხაზეთის 43 წელი
- სკოლა — ცხოვრების მხარდამხარ!
- საბჭოთა პარლამენტარები საფრანგეთში

ზეიმოგს საბჭოთა აფხაზეთი

მ. ჩიქოვანი,
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

საქართველოსა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური ოჯახი დიდი შრომითი და პოლიტიკურ-ალმავლობით ეგებებიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელნი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 43-ე წლისთავს. ეს დღესასწაული აღინიშნება ისეთ ვითარებაში, როცა ყველა საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს და შემოქმედებას ეწევა სკკპ XXII ყრილობის, სკკპ ახალი პროგრამის იდეების მძლავრი ზეგავლენით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოციალიზმის მშენებლობას შეუდგნენ მშრომელი მასები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. საბჭოთა წყობილების ცხოველმოფფელი მზის ქვეშ აფხაზეთი, ოდესღაც მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა კუთხე, საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში გადაიქცა განუწყვეტლივ მზარდი სოციალისტური მრეწველობის, განვითარებული მრავალდარგოვანი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური მაღალი კულტურის მქონე აყვავებულ მხარედ.

სამრეწველო წარმოებისა და აფხაზეთის სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულება დავალებებით გათვალისწინებულზე სწრაფად მიმდინარეობს. საერთო პროდუქციის გამოშვების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა აფხაზეთის მრეწველობამ 104 პროცენტით შეასრულა. საერთო პროდუქციის მოცულობა 1962 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები გასულ წელს ახალი ტექნიკით აღიჭურვა, სულ უფრო ფართოდ ინერგება საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

განუხრელი აღმავლობის გზით მიდის აფხაზეთის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა.

წლითიწლობით ძლიერდება სახელმწიფო დახმარება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი უახლესი ტექნიკით აღჭურვაში, მინერალური სასუქებითა და მცენარეთა დაცვის საშუალებებით.

თუ რევოლუციამდელ აფხაზეთში ყველა მეურნეობაც კი არ იყო უზრუნველყოფილი გუთნებით, რადგან მიწას კავებით ხნავდნენ, უკვე 1963 წელს ტრაქტორებით მოიხნა 106 ათასამდე ჰექტარი მიწა პირობით ხვნაზე გადაყვანით. ყველა მიწა, სადაც კი შესვლა შეუძლია ტრაქტორს, ახლა მანქანებით მუშავდება.

გასული წელი აღინიშნა სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი გამარჯვებით ჩაისათვის ბრძოლაში. აფხაზეთის მეჩაიეებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის წარმოების გადიდების საქმეში.

უკანასკნელ ათ წელიწადში — 1953 წლიდან 1963 წლამდე ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალმა თითქმის ერთიორად იმატა.

გადაკარბებით შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხორცის, დაფნის ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფისა და სხვადასხვა ხილის მიყიდვის გეგმა. მთლიანად და გადაკარბებით შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის დავალებანი.

1963 წელი ჩაის, ციტრუსოვანთა პლანტაციების, ბაღების, ვენახების, დაფნისა და სხვა მრავალწლიან კულტურათა ნარგავების შემდგომი გადიდების წელი იყო.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის განუხრელ ზრდას მოწმობს აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტი. თუ 1940 წელს ბიუჯეტი შეადგენდა 8.4 მილიონ მანეთს, ამჟამად იგი თითქმის ოთხჯერ გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში აუკავდა ჩვენი ქალაქები და დასახლებული პუნქტები. სოხუმი პატარა მიყრუებული ქალაქიდან გადაიქცა შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად, ქალაქ-ბაღად. ქალაქ-კურორტად. გაიზარდნენ და სახე იცვალეს მიყრუებულმა დაბებმა გუდაუთამ, გაგრამ, ოჩამჩირემ და გალმა. გაიზარდა მაღაროელთა ახალი ქალაქი — ტყვარჩელი.

შესანიშნავი წარმატებებია ჯანმრთელობის დაცვის დარგშიც. რევოლუციამდელი აფხაზეთი სოფელი ფაქტიურად მოკლებული იყო სამედიცინო დახმარებას.

რესპუბლიკის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 70-ზე მეტი სტაციონარული დაწესებულება, რომლებშიც 4.300 ექიმი და საშუალო სამედიცინო პერსონალის მუშაკია.

სულ უფრო მეტად ვითარდება კურორტები. ახლა აფხაზეთში 60-ზე მეტი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი და ტურისტული ბაზაა.

დიდია წარმატებანი სახალხო განათლების დარგშიც. ახლა სკოლებში სწავლობს 91 ათასამდე ბავშვი და მოზარდი. მათ შორის 2 ათასამდე სწავლობს სკოლა-ინტერნატებში. ყველა სკოლა საწარმოო სწავლებაზე გადავიდა.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობს 8,4 ათასი კაცი.

1962 წელს 1.300 ქალიშვილმა და ბიჭუმა დაამთავრა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და მიიღო სიმწიფის ატესტატი. 273 კაცმა მიიღო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება.

სამეცნიერო დაწესებულებებში, სახწავლებლებსა და სხვა დაწესებულებებში ნაყოფიერად შრომობს მეცნიერების 577 მოღვაწე, რომელთაგან 225 კაცს მეცნიერებათა დოქტორის და კანდიდატის წოდება აქვს. რევოლუციამდელ აფხაზეთში კი რაიმე სამეცნიერო ხარისხის მიღებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

რესპუბლიკაში მუშაობს ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება.

სოხუმის სახელმწიფო თეატრში შეწმედებითი თანამეგობრობით მუშაობენ აფხაზური და ქართული კოლექტივები. ხორციელდება აფხაზური, ქართული, რუსული დრამატურგიის ნაწარმოებთა თეატრალური დადგმები.

სერიოზულ წარმატებებს აღწევს სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა. აფხაზეთის პოეტებისა და მწერლების საუკეთესო ნაწარმოებნი ცნობილია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის და საზღვარგარეთ.

1962 წელს აფხაზურ და რუსულ ენებზე გამოვიდა „ნართ სასრუფუვს და მისი ოთხმოცდაცხრამეტი ძმის თავგადასავალი", რომელსაც მკითხველები დიდი ინტერესით შეხვდნენ.

ფართოდ ხორციელდება საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა. წარმოებს ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობის სამუშაოები. მარტო 1963 წელს გაზიფიცირებული ბინების რაოდენობა 3.760-ით გადიდდა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დასმულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის დიდი ამოცანები.

ჩაის მწვანე ხარისხოვანი ფოთლის მოსავალი 1970 წლისათვის აუვანილ იქნება 38.500 ტონამდე — 25 პროცენტით მეტი იქნება ამაზე, რაც დაგეგმილია შვიდწლედის უკანასკნელი წლისათვის — 1965 წლისათვის.

კვლავ დიდი უურადღება მიექცევა საბინაო მშენებლობას. გათვალისწინებულია აგრეთვე დიდი ღონისძიებანი კომუნალური მეურნეობის განვითარებისა და ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის.

კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. შემდგომ განვითარდება კურორტები.

აფხაზეთის მშრომელნი, რომლებსაც კომუნისტური პარტია აღფრთოვანებს და ხელმძღვანელობს, საქართველოს სსრ და მთელი ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად ახლა ყველა ღონისძიებას ახორციელებენ იმას, რომ უზრუნველყონ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება და ამით მკვიდრი საფუძველი ჩაუყარონ კიდევ უფრო დიდ წარმატებათა მიღწევას ნათელი მომავლის — კომუნიზმის გზაზე.



აფხაზეთის ასსრ. სურათებზე: მარცხნიდან — გაგრა. ჩელიუსკინელთა სახელობის სანატორიუმის ხედი; სოხუმი. სანაპიროზე.
ფოტო ი. დვალისა (საქდესის ფოტოქრონიკა) და ბ. დადვაძისა.

უკანასკნელ საათის

ირანის პასუხი

მოსკოვი, 2 მარტი. (საქდესი). ირანის პრემიერ-მინისტრი ასადოლა ალამი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის 1963 წლის 31 დეკემბრის წერილის პასუხში, წერს: „თქვენს წერილში ძირითადად აღძრულია ტერიტორიული დავის პრობლემა და სამართლიანად ჩქცევა მთავარი ყურადღება იმას, რომ ძალის გამოყენება ტერიტორიული დავის გადასაჭრელად არ შეესაბამება ხალხებისა და ქვეყნების ძირეულ ინტერესებს, რა თქმა უნდა, წერს ირანის პრემიერ-მინისტრი, პრინციპულად ჩვენ ვეთანხმებით ამ თვალსაზრისს. ჩვენი აზრით, საფუძვლად აღებული ეს პრინციპი უნდა განხორციელდეს უფრო დიდწინაღლოვანი პრინციპის, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის გათვალისწინებით.

ირანის პრემიერ-მინისტრის პასუხში ხაზგასმულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო და სრულ განიარაღებას არსებული საშიშროების [illegible] საქმეში.

შაჰინშაჰის მთავრობა კვლავ დაუჭერს მხარს ყოველ ღონისძიებას, წერს ირანის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც კი შეუძლია თუნდაც ერთი ნაბიჯით მოუახლოვოს კაცობრიობა მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის იდეალებს, აგრეთვე მხარს დაუჭერს მოლაპარაკებას, რათა დაიდოს საერთაშორისო ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული დავისა და სასაზღვრო საკითხების გადასაჭრელად.

ი. ვ. ანდროპოვი ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 3 მარტი. (საქდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვეულთ გუშინ ბუდაპეშტში ჩამოვიდა სკკპ პარტიული მუშაკების დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

ფერიხედის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები დეკი ნიშანი და იშტვან სირმაი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში გ. ა. დენისოვი.

საბჭოთა კოსმონავტები ფრეიბურგში

სტოკჰოლმი, 3 მარტი. (საქდესი). დღეს საბჭოთა კოსმონავტები ი. ა. გაგარინი და ვ. თ. ბაკოვსკი მიიღო შვეიცარიის მეფემ გუსტავ VI ადოლფმა. შვეიცარის მეფე მიესალმა საბჭოთა კოსმონავტებს და თავისი აღტაცება გამოთქვა მათი გმირობის გამო. შემდეგ ვალმართა, სოუბარი, რომლის დროსაც მეფე დიდად დაინტერესდა იმით, თუ როგორ ემზადებოდნენ კოსმონავტები და როგორ განაცხორციელეს კოსმოსური ფრენა.

დასასრულ მეფემ ი. ა. გაგარინსა და ვ. თ. ბაკოვსკის უსურვა წარმატებანი, „ამბრთელობა და კეთილდღეობა, აგრეთვე დროის სასიამოვნოდ გატარება შვეიცარიაში.

ი. ა. გაგარინსა და ვ. თ. ბაკოვსკის თან ახლდა სსრ კავშირის ელჩი შვეიცარიაში ნ. დ. ბელოხვოსტიკოვი.

„ცოფიანის" განცხადება

ნიუ-იორკი, 3 მარტი. (საქდესი). პენსილვანიის შტატის გუბერნატორმა უილიამს სკრანტონმა, რომელიც რესპუბლიკური პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების ერთ-ერთი შესაძლო პრეტენდენტია, ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტთან ინტერვიუში მოითხოვა, რომ დაწესდეს კუბის ბლოკადა, არ მოერიდონ შეიარაღებული ძალის გამოყენებასაც კი. პენსილვანიის გუბერნატორმა გაილაშქრა აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ გადაისინჯოს კაბალური ხელშეკრულება, რომელიც შეერთებულმა შტატებმა მოახვიეს თავს პანამას.

საბჭოთა კოსმონავტები ფრეიბურგში

ერჰარდის შეხვედრა მარეინენთან

ლონდონი, 3 მარტი. (საქდესი). ბაადენში დასავლეთ გერმანიის კანცლერი ერჰარდი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ჰოლანდიაში, შეხვდა პრემიერ-მინისტრ მარეინენს. რეიტერ-ს საგანგებო ინფორმაცია, რომ შეხვედრის დროს ერჰარდი ესაუბრა მარეინენს ევროპ-ს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, გაიცინა რომსა და პარიზში. მოაზროვნობის შედეგები. მან ჩამოთალა აგრეთვე თავისი შეხვედრები „სიერთო ბაზრისა" და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ურთიერთობის შესახებ, შეეხო ევინეკის მომავალ მოლაპარაკებას საბაჟო ტარიფების შემცირებს შესახებ. ჰოლანდ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუნსმა, რომელიც საუბარში მონაწილეობდა, ილაპარაკა თავის ვიზიტზე ლონდონში და აზრი გამოთქვა, რომ ამჟამად დასავლეთ ევროპის ძალებმა არ უნდა განიხილონ დასავლეთ ევროპის „ინტეგრაციის" საკითხი. სანამ ინგლისის მთავრობა არ ჩამოთალობებს თავის თვალსაზრისს ამ პრობლემაზე, რაც არ შეიძლება მოხდეს მომავალ არჩევნებამდე ინგლისში.

„ცოფიანის" განცხადება

დაამტკიცეს ლასელები

პარიზი, 3 მარტი. (საქდესი). საფრანგეთის პოლიციამ გამოაცხადა, რომ დაამტკიცა ტერორისტული „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის" (ოას-ი) თხუთმეტი წევრი. დაპატიმრებულთა შორის, იუწყება ფრანს პრესი, 14 სტუდენტია.

ზეიმოგს საბჭოთა აფხაზეთი

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჟურნალ „საქართველოს ქალის" პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოპანიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი, 1964 წლის 3 მარტი.

წლიური გეგმა — ვადამდე!

გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მუშაკთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა 1963 წლის შედეგებსა და 1964 წლის ამოცანებს. მოხსენება გააკეთა განყოფილების უფროსმა დ. ბერიძემ.

ახლა აქ გაიშალა ბრძოლა იმისათვის, რომ გრაფიკის დიდი გასწრებით შეასრულონ საექსპლოატაციო სამუშაოების წლიური გეგმა და უზრუნველყონ მოძრავი შემადგენლობის უფრო რაციონალური გამოყენება. აქტივის კრების შედეგები შეაჯამა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა გ. ი. ქადაგიძემ.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ი. ფრუნაძემ და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გ. აბუთიძემ.

(საქდესი).

სიახლენი ქარხანაში

ქუთაისი. ლითოფონის ქარხნის ბარიუმის საამქროში აამუშავეს ბარიტის ღუმელი და ახლა ლითოფონის გამოშვება 30 პროცენტით გადიდდა.

ქარხანაში მთელი რიგი სიახლენი განხორციელდა. მოდმავი მოქმედების მექანიზებულმა ცენტრიფუგამ შეცვალა პერიოდული მოქმედების ცენტრიფუგა. მანქანა მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მუშის შრომას. (საქდესი).

გაგაფხულს შრომაც ალამაგებს

გუშინ მინდვრებსა და პლანტაციებში

სიტყვას საქმედ ვაქცევთ

ჩვენი მეურნეობის კოლექტივის სასახელო წარმატებებმა მთელი რესპუბლიკა აალაპარაკა. სულ მოვკრიფეთ 3.352 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც 402 ტონით აღემატება გეგმას. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 7.007 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

მეურნეობის ამ დიდ წარმატებაში ჩემი წვლილიც არის. შარშან მოვკრიფე 8 ათას კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო".

გადავწყვიტე წელს კიდევ ერთი ტონით გადაკარბობ შარშანდელ შედეგს.

ვალენტინა ჟორდანია.
ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ითესება ჭარხალი, გოსტნეული

გურჯაანი. (საკ. კორ.). ვაზისუბნის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. იაშვილი) პირველმა დაიწყო საგაზაფხულო კულტურების თესვა. ტრაქტორისტმა ვალერიან კანაშვილმა უკვე 15 ჰექტარი საკვები ჭარხალი დათესა.

ბაკურციხის და ჭანდრის კოლმეურნეობები ბოსტნეულის თესვას შეუდგნენ. დათესილია პირველი ჰექტარი.

ყურძნის სიუხვისათვის

ამბროლაური. (საკ. კორ.). ხიდიკრის კოლმეურნეობაში აქედანვე უყრიან საფუძველს ყურძნის უხვ მოსავალს. ზვრებში უკვე გატანილია 400 ტონა ორგანული სასუქი. ახლადგაშენებულ ვენახებში ჩატარდა კულტივაცია. სულ მალე კოლმეურნეები დაიწყებენ ვენახის შპალერზე გადაყვანას. ეს სამუშაო ათ ჰექტარ პლანტაციაში შესრულდება.

მევენახეები დიდ იმედს ამყარებენ ქიმიურ სასუქებზე. კოლმეურნეობამ უკვე შექმნა მინერალური სასუქების მარაგი. ამინდი როგორც კი გამოკეთდება და სითბოს დაიჭერს, კოლმეურნეები ვენახებს გადაბარავენ და თან მინერალურ სასუქს შეიტანენ ნიადაგში.

მეტი თამბაქო სამშობლოს

მაღალმთიან ქედის რაიონის სოფლებში შეუდგნენ თამბაქოს თესვას ყვავსთბურებსა და ღია კვლებში. დაწინაურდნენ წონიარისის, ცხმორისის, ხარაულას, ახოს, სირაბიძეების, მახუნცეთისა და დოლოგნის კოლმეურნე მეთამბაქეები. ესენი ყველაფერს აკეთებენ თამბაქოს საღი ჩითილის გამოყვანისათვის.

თამბაქოს საადრეო ჩითილის გამოსაყვანად ნიადაგი წინასწარ მოამზადეს კოლტაურელმა კოლმეურნეებმა. ადგილზე დიდი რაოდენობით მიზიდეს ნეშომპალა და ათ ტონაზე მეტი ორგანული სასუქი. კვლესთბურებში თამბაქოს დათესეს 600 კვადრატულ მეტრზე, ხოლო ღია კვლებში — 900 კვადრატულ მეტრზე.

25 ათასი კილოგრამი ხმელი თამბაქო სამშობლოს! — ასეთია მათი ვალდებულება. ეს კი ორჯერ და უფრო მეტად სჭარბობს შარშანდელს.

ა. ზანაქიძე.
სოფლკორი.

საკავშირო პროფსაბჭოში

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს

ორი მილიონ ორასი ათასი კაცია გაერთიანებული ახლა ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებებში. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მათი რიცხვი ერთიორად და მეტად გაიზარდა. საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებებში დაახლოებით 50 ათასი პირველადი ორგანიზაცია მუშაობს — ერთიორად მეტი, ვიდრე 1959 წელს. მათი მონაწილეობით მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში შექმნილია და დიდმნიშვნელოვან ამოცანებს წყვეტს 120 ათასზე მეტი შემოქმედებითი ბრიგადა, საზოგადოებრივი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიურო, ეკონომიური ანალიზის ბიურო და სხვა შემოქმედებითი გაერთიანება.

ეს მონაცემები მოიყვანეს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც განიხილავდა მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა ყრილობების შედეგებს. ამავე დროს აღნიშნავდნენ არსებითს ნაკლოვანებებსაც ამ შემოქმედებით ორგანიზაციათა საქმიანობაში. საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭო, ცენტრალური გამგეობა და ბევრი ადგილობრივი ორგანიზაცია მეცნიერული და ინჟინერ-ტექნიკური საზოგადოებრიობის ძალებს ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ახმარენ წარმოების უველაზე პროგრესული დარგების პრობლემათა გადაწყვეტას, სათანადო ყურადღება არ ეთმობა ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, საწარმოს მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებას, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებას.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ვრცელი გადაწყვეტილება მიიღო განხილულ საკითხზე. პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებებისადმი დახმარება. (საქდესი).

ლენინი და წიგნი

ПОЛИТИКУРИ ЛИТЕРАТУРИС მამოვეთმელოგის კრებული

ЛЕНИН И КНИГА

ლენინის იდეურ მემკვიდრეობაში დაცულია ბევრი საინტერესო დოკუმენტი, რომლებიც წიგნთანაა დაკავშირებული. ეს არის სტატიები, წერილები, რეცენზიები, ლიტერატურის მიმოხილვები, სიტყვები, ბარათები, განკარგულებანი. ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია ლენინის აზრები წიგნის სოციალური ბუნების შესახებ, მისი როლის შესახებ საზოგადოების ცხოვრებაში, მოცემულია ვლადიმერ ილიას-ძის გამონათქვამები ცალკეულ მწერლებზე, წიგნების შეფასებანი, რჩევა-დარიგება წიგნის გამომცემლებისადმი, მითითებანი ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ და სხვ.

ბევრი ეს დოკუმენტი შეტანილია კრებულში „ლენინი და წიგნი", რომელიც გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. წიგნის მასალები თავმოყრილია ექვს კარში: „საზოგადოება და წიგნი", „წიგნებისა და ავტორების შესახებ", „ბიბლიოთეკების შესახებ", „წიგნების გამოცემისა და გავრცელების შესახებ", „წიგნი ვ. ი. ლენინის ცხოვრებაში. მოგონებანი", „წიგნის მუშაკთა წერილები ვ. ი. ლენინისადმი".

პირველ კარში დაბეჭდილია სტატიები, სიტყვები, წერილები, რეცენზიები, წინასიტყვაობანი, რომლებშიც ასახულია ვ. ი. ლენინის შეხედულებანი წიგნის პარტიული რაობაზე, გვიჩვენებს, თუ რა მოთხოვნებს უყენებდა ვლადიმერ ილიას-ძე მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებებს, რა კრიტერიუმები მიიჩნდა მას უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმებად წიგნის საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრისას.

კრებულის მეორე კარში „წიგნებისა და ავტორების შესახებ" შევიდა ლენინის წერილები და ბარათები, რომლებშიც ნათესავებსა და ამხანაგებს სთხოვს წიგნებს; რეცენზიები, მიმოხილვები და ბიბლიოგრაფიული შენიშვნები; ზოგიერთი გამოცემის წინასიტყვაობანი; სტატიები და წერილები ცალკეული მწერლების შემოქმედების შესახებ. ვლადიმერ ილიას ძის წერილები გვიჩვენებენ, თუ რა ბევრ რამეს ნიშნავდა მის ცხოვრებაში, მის შემოქმედებითს მუშაობაში წიგნი, რაოდენ ფართო იყო ლენინის კითხვის დიაპაზონი. ისინი აშუქებენ, თუ რა მეცნიერული საფუძველი ჰქონდა ლენინის დამოკიდებულებას წიგნისადმი, როგორც ცოდნისა და კულტურის წყაროსადმი, გვაცნობენ ლენინის უმდიდრეს ბიბლიოგრაფიულ გამოცდილებას, საჭირო ლიტერატურის გამოვლინებისა და შერჩევის მეთოდს.

წიგნთან დაკავშირებული ლენინის იდეური მემკვიდრეობა შეიცავს ბევრ სტატიას, გამოსვლას, წერილსა და ბარათს ბიბლიოთეკების შესახებ; მესამე კარში მოცემულია უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები ამ მასალებიან. ერთად შეკრებილი, ისინი ასახავენ იმ შეხედულებათა სისტემას, რომელიც ლენინს ჰქონდა ბიბლიოთეკის საქმეზე; როგორც სასალხო განათლების ვახუყოფელ ნაწილზე. ამ მასალებიდან ჩანს, თუ რა დაუსხრომლად ზრუნავდა ვლადიმერ ილიას ძე იმისათვის, რომ უსწრაფესად ზიარებოდნენ ხალხის მასები წიგნს, რომ ბიბლიოთეკები გამხდარიყო პოლიტიკური, ზოგადსაგანმანათლებელო, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა ცოდნის პროპაგანდის ცენტრები.

მეოთხე განყოფილება „წიგნების გამოცემისა და გავრცელების შესახებ" შეიცავს ლენინის წერილებს ნათესავებისა და პარტიული ამხანაგებისადმი, რომლებშიც იგი ეხება თავის ნაწარმოებთა გამოცემებს, და მასალებს, რომლებიც ვლადიმერ ილიას ძის ახასიათებენ როგორც ორგანიზატორსა და იდეურ ხელმძღვანელს საბჭოთა წიგნის გამოცემის საქმისას.

ვ. ი. ლენინის შესახებ შეიქმნა ვრცელი და მეტად მრავალფეროვანი მემუარული ლიტერატურა. მოგონებათა ბევრი ფურცელი მიეძღვნა ლენინის დახასიათებას, რომელიც იყო მარქსისტული აზრის თვალსაზრისნ ნაწარმოთმა ავტორი, მკვლევარი, პარტიული ლიტერატურის რედაქტორი, კრიტიკოსი და მკითხველი. ყველაზე უფრო სრულად თანამედროვეთა მოგონებანი ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის ამ მხარის შესახებ შეტანილია კარში „წიგნი ვ. ი. ლენინის ცხოვრებაში. მოგონებანი".

კრებულის ბოლო კარი „წიგნის მუშაკთა წერილები ვ. ი. ლენინისადმი" ბევრ რამეს გვაძლევს, რომ გავიგოთ, თუ რა ღრმად გრძნობდნენ პოლიგრაფისტები თავიანთ პასუხისმგებლობას წიგნების გამოცემისათვის, ჩვენი ქვეყნის კულტურული რევოლუციის ბედისათვის, თუ რა დიდად აფასებდნენ ისინი ვლადიმერ ილიას ძის სიბოლოვეს წიგნებთან.

„დანართში" შეტანილია სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტები და დადგენილებანი, რომლებიც დაკავშირებული იყო წიგნების გამოცემასთან და გავრცელებასთან. ეს დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია ლენინის ინიციატივით, გვიჩვენებენ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვლადიმერ ილიას ძე წიგნის საქმის გონივრულ და უნარიან ორგანიზაციას ჩვენს ქვეყანაში. (საქდესი).

ახალი კოსმოსური ფოტოსურათები

ВАРМАТЕВИТ დაგვირგვინდა საერთაშორისო ექსპერიმენტის კიდევ ერთი ეტაპი. ეს ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა ზეშორი კოსმოსური რადიოკავშირის დამყარებას 1,8 მეტრი ტალღით. ზომენკის რადიოასტრონომიულ ობსერვატორიაში, გორკის მახლობლად, საბჭოთა მეცნიერებმა ამერიკის ხელოვნური თანამგზავრის „ეკო-2-ის" მეშვეობით თავიანთი ბრიტანელი კოლეგებისგან მიიღეს ფოტოსურათების სერია.

განსაკუთრებით კარგი გამოდგა ორი გამოსახულება, რომლებიც მიღებულია კავშირის ღამის სეანსების დროს. ამ „კოსმოსურ" ფოტოსურათებზე გარკვევით მოჩანს რუსულად დაწერილი „ჯოდრელ ბენკ"-ის ტელესკოპის თავზე რუსული წარწერაა — „ზმ". „ზმენკა". პუნქტირებზე — რადიოსხივი — ტელესკოპების ფიალებს აერთებს და სურათის ზედანაწილში ირეკლება. სადაც ოვალური ლაქის მახლობლად წერია „ეკო".

სულ, განვლილი 36 საათის მანძილზე, რომლებიც მიეძღვნა ფოტოგამოსახულებათა გადაცემას კოსმოსის მეშვეობით, გაიმართა „ჯოდრელ ბენკ"-„ეკო-2"-ზომენკის კავშირის შვიდი სეანსი.

გარდა ამისა მოეწყო ორი სეანსი, რომლის დროსაც კოსმოსურ „სარკედ" — რეტლანსლატორად გამოიყენეს მთვარე. ერთ-ერთი ფოტოსურათი, რომლებიც მთვარის მეშვეობით არის მიღებული, თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება „ეკო-2-ის" მეშვეობით მიღებულ საუკეთესო „კოსმოსურ" ფოტოსურათს.

საბჭოთა, ამერიკელი და ინგლისელი მეცნიერების საერთაშორისო ექსპერიმენტი გრძელდება.

დ. დმიტრიევი.
(საქდესის სპეც. კორ.).

ქ. ბორკი, 2 მარტი.

ჩვენ ლიად საშობლოში

რუსი გმირი მეომრების ხსოვნას

მოსკოვი. 3 მარტი. (საქდესი). დღეს შესრულდა 86 წელი რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლებს ომის დამთავრების დღიდან. ამ დღეს მოსკოვს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა და ბულგარეთის საელჩოტომომ პატივი სცა სახელოვანი რუსი მეომრების ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს მოძმე ბულგარეთის განთავისუფლებას თურქეთ-ს ბატონობისაგან.

პლევნის ბრძოლაში დაღუპული რუსი გრენადერების ძეგლთან გარმართა საზეიმო ცერემონია.

ძეგლი გვირგვინებით შეამკეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირმა და საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოებამ.

კიდევ ერთი 200-ათასიანი

დაბა ბრიტომსკი (კემეროვოს ოლქი). 2 მარტი. (საქდესის კორ.). ტომ-უსის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლებმა კიდევ ერთხელ ისახელეს თავი შრომაში. სამრეწველო დენი გამოუშვა სადგურის მეშვიდე ბლოკმა. მისი სიმძლავრეა — 200

გამოხმაურება წერილზე — „ცხოვრების კარნახით“

სკოლა—ცხოვრების მხარდამხარ!

ფართო გამოხმაურება ჰპოვა გაზეთ „კომუნისტის“ 1964 წლის 7 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა სახალხო განათლების, აღზრდის თემაზე — „ცხოვრების კარნახით“. ამ გვერდში გამოხმაურებათა მხოლოდ ერთ ნაწილს ვაქვეყნებთ. გამოხმაურებებს მომავალშიც დავბეჭდავთ.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ტემპი ბუნებრივად აყენებს საკითხს საბჭოთა სკოლის შემდგომი გარდაქმნის, უკანასკნელ წლებში შეძენილი გამოცდილების საფუძველზე მისი სრულყოფის, მომწიფებული საკითხების დროულად გადაჭრის შესახებ.

ამ პრობლემას ეხება გაზეთ „კომუნისტის“ ა. წ. 7 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული პროფესორ დ. ლორთქიფანიძის წერილი — „ცხოვრების კარნახით“, რომელშიც სასკოლო ცხოვრების მრავალი ფუძემდებლური საკითხია დაყენებული. გვინდა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებანი ზოგ მათგანზე:

II ეტაპის სკოლებთან გაერთიანების პირობებში მართლაც ნაწილობრივ მოკლებულია ყურადღებას 8-წლიანი სკოლა, მეტწილად კი I-IV კლასები. ამიტომ 8-წლიანი სკოლის გამოყოფა II ეტაპის სკოლიდან, განსაკუთრებით ქალაქის პირობებში, უდავოდ სასარგებლო საქმეა. ეს ღონისძიება თანდათანობით უნდა განხორციელდეს სოფლადაც.

რვაწლიან სკოლაში მტკიცე ნიადაგზე უნდა დადგეს პოლიტექნიკური განათლება. რვაკლასდამთავრებულმა თვითონ უნდა აირჩიოს II ეტაპის სკოლა, რომელშიც განაგრძობს სწავლას.

II ეტაპის სკოლა ყოველმხრივ უნდა განმტკიცდეს. აქ დიფერენცირებული სწავლება უნდა შემოვიღოთ. II ეტაპის სოფლის სკოლებში შეიძლება დიფერენცირებული სწავლება ერთი და იმავე სკოლის შიგნით შემოვიღოთ, ქალაქისა და მსხვილი რაიონული ცენტრების სკოლებიდან კი ზოგში ჰუმანიტარული საგნები გავაძლიერით, ზოგში კი მათემატიკური (და მისი მონათესავე) საგნები.

II ეტაპის სკოლებს მიეკუთვნება მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) სკოლები და სპეციალური ტექნიკუმები.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლის) სკოლებში დღეისათვის მეტად დაბალია სწავლის ხარისხი.

ამ ხარვეზის შევსებისათვის მიზანშეწონილია ზოგადსაგანმანათლებლო და საღამოს სკოლები ერთი დირექციის ხელში გავაერთიანოთ ისე, რომ საღამოს სკოლებს ცალკე მყავდეთ სასწავლო ნაწილის გამგე. უნდა გაფართოვდეს სპეციალური ტექნიკუმების ქსელიც, რასაც გვიკარნახებს ჩვენი მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობა. ტექნიკუმებში მოსწავლემ სპეციალობასთან ერთად უნდა მიიღოს ზოგადი საშუალო განათლება, მას უნდა შეეძლოს სწავლის გაგრძობა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასარგებლო იქნება, თუ ტექნიკუმს მისი პროფილის უმაღლესი სასწავლებელი გაუწევს შეფობას.

II ეტაპის სკოლების ამ სახეობებს შორის წამყვანი ადგილი მაინც დღის სკოლებს უნდა ეჭიროს.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროფესორ დ. ლორთქიფანიძის წინადადება 6 წლის ასაკის ბავშვების მოსამზადებელ ჯგუფში მიღების შესახებ. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ახლანდელ ეტაპზე — რადიოს, ტელევიზორის, სამავშვო თეატრების, მრავალნაირ სანახაობათა ფართო ქსელის, სბავშვო ლიტერატურისა და სათამაშოების სიუხვის, აგრეთვე ოჯახის საერთო კულტურული დონის ამაღლების თანამედროვე პირობებში 6 წლის ასაკის ბავშვის გონებრივი მომზადების დონე ისე ამაღლდა, რომ ჩვენ ამას ვერც კი ვამჩნევთ, და ეს ბავშვი კი ჩინებული კანდიდატია მოსამზადებელი ჯგუფისათვის, მით უფრო, თუ გაკვეთილის ხანგრძლივობა 35 წუთი იქნება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თითქმის ყველა სკოლის IV კლასში შემოღებულია საგნობრივი სისტემა, ამიტომ ცალკე არსებულ დაწყებით სკოლებში მოვათავსოთ მოსამზადებელი (ნულოვანი) ჯგუფი, I, II და III კლასები, ხოლო IV კლასი 8-წლიან სკოლას მივაკუთვნოთ, ე. ი., გვექნება შემდეგი სასკოლო სისტემა (1)+3+5+2, და 17 წლის ახალგაზრდა საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატით გავა ცხოვრებაში.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველა აღიარებს სასწავლო გეგმების შემცირების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების განტვირთვის საჭიროებას, ისინიც კი, ვის ხელშიც არის მათი გაუმჯობესების საქმე. მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩება. ახლანდელი გადატვირთვის პირობებში ფრიადოსანი მოსწავლეც კი ვერ ახერხებს ყველა გაკვეთილი ყოველდღე „ხუთზე“ იცოდეს. გადატვირთვა ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლე ზერელე იყოს. ამიტომ ზოგიერთი მოსწავლე იძულებული ხდება მიმართოს „შპარგალკებს“, სიმულაციას, ტყუილს; იგი უხეშად ეპყრობა მასწავლებელს, რომელიც „გადაეკიდა“ მას, არ ემორჩილება და უხეშად ეპყრობა მშობელს, თავის მართლების მიზნით თესავს უნდობლობას მშობლსა და მასწავლებელს შორის, იძლევა დაპირებებს გამოსწორების შესახებ და უხეშად არღვევს ამ დაპირებებს; ერთი სიტყვით, საფრთხეშია არა მარტო მოსწავლის აკადემიური წარმატება, არამედ მისი მორალური სახეც.

საჭიროა სასწავლო გეგმები ისე გადამუშავდეს, რომ უფროსი კლასის მოსწავლეს ყოველდღიურად მქონდეს არაუმეტეს 5 გაკვეთილისა, ხოლო უმცროს კლასებში 3-4 გაკვეთილით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ბევრი ახლანდელი სასკოლო სახელმძღვანელო სასწავლო მასალის გარდა საკითხავ მასალასაც შეიცავს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახელმძღვანელო შეიცავდეს მხოლოდ სასწავლ მასალას, რომელიც დაწერილია ბავშვებისათვის მისაწვდომი ენით. საკითხავი წიგნები კი ცალკე გამოცეთ საშეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის სახით.

ჩვენს სასკოლო სახელმძღვანელოებს მეტ წილად უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები წერენ. ისინი არ ასწავლიან საშუალო სკოლაში და არ იცნობენ ბავშვის მომზადების დონეს, მის შესაძლებლობებს. სახელმძღვანელოს მასწავლებელი უნდა წერდეს, ან თანაავტორი მაინც უნდა იყოს მასწავლებელი, რომელიც პრაქტიკულად შეამოწმებს და სრულყოფს წიგნს.

ვერ დავეთანხმებით პროფ. დ. ლორთქიფანიძეს მის მოსაზრებაში უცხო ენების კონცენტრირებულად სწავლების შესახებ 2-3 წლის მანძილზე II ეტაპის სკოლაში. არ შეიძლება უარვყოთ ის ჭეშმარიტება, რომ უცხო ენის შესწავლა გაცილებით შედეგიანია უმცროს ასაკში. ამას ადასტურებს თუნდაც თბილისის პირველი სკოლის იმ კლასების მაღალი მომზადებაც უცხო ენაში (ინგლისური). რომლებშიც ეს ენა II კლასიდან ისწავლება. ვერ დავეთანხმებით აგრეთვე ავტორს ოროსან მოსწავლეთა შემდეგ კლასში ხელაღებით გადაყვანის საკითხში, რადგან კლასიდან კლასში ოროსანი მოსწავლის გადაყვანა შეაჩვევს მას დავალებების შეუსრულებლობას, სიზარმაცეს, შეანელებს მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობას და გზას გაუხსნის პროცენტომანიას.

იმ მოსწავლეებს, რომლებიც მოასწრებენ ჩამორჩენის გამოსწორებას, უნდა მიეცეთ საგნის გაზაფხულზევე ჩაბარების საშუალება, ხოლო დანარჩენთ მიეცეთ საშემოდგომო გამოცდა.

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებას ძირითადად მასწავლებლთა კადრების მომზადების დონე განაპირობებს. ბევრი ღირსეული მასწავლებელი მოღვაწეობს ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში, მაგრამ ბევრიც შეუფერებელია ამ საქმისათვის.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია მოეწყოს მასწავლებელთა ატესტაცია და მხოლოდ ღირსეულთ მიენდოს მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილური საქმე. ჯეროვანი უურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

II ეტაპის სკოლებისათვის მასწავლებლები უნდა მოამზადოს უნივერსიტეტმა, ხოლო 8-წლიანი სკოლებისათვის — პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა. ასეთი დაყოფა მარტო იმით კი არ არის ნაკარნახევი, რომ უნივერსიტეტი უფრო მაღალკვალიფიციურ მასწავლებლებს უშვებს, ვიდრე პედინსტიტუტები. აქ სხვა ანგარიშგასაწევი გარემოებაა:

ხშირად კურსდამთავრებულებს უსაყვედურებენ — არ მიდიან სკოლებში გაწყლების მიხედვით, ან მიდიან, მაგრამ ადგილზე არ რჩებიანო; ასე იქცევიან, მაგალითად, უცხო ენათა ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, და ისინი ზოგჯერ არც არიან დამნაშავენი! მართლაც, ერთკომპლექტიან 8-წლიან სკოლაში უცხო ენის სულ 12 გაკვეთილია. შეძლებს კი ოჯახიდან მოწყვეტილი მასწავლებელი 12 გაკვეთილის ხელფასით შეინახოს თავი? მით უფრო, რომ მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივი ხელმძღვანელობა არ უწევს მასწავლებლებს იმ კომუნალურ მომსახურებას, რაც მთავრობის დადგენილებით არის გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს.

ამიტომ არის საჭირო, რომ პედაგოგიური ინსტიტუტები ისეთ ცოდნას აძლევდნენ კურსდამთავრებულებს, რომ მათ შეძლონ რამდენიმე მონათესავე საგნის სწავლება, მაგალითად, უცხო ენის და რუსული ენისა; ბიოლოგიის, ქიმიისა და გეოგრაფიის; ფიზიკის და მათემატიკისა და სხვ.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ყველა უბანზე გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მასწავლებელმა. იგი ცენტრალური, წამყვანი ფიგურაა მთელ სასკოლო ცხოვრებაში, ამიტომ, ცხადია, მეორეწლიანობის ლიკვიდაციის საკითხი დამოკიდებულია პედაგოლექტივის ხარისხობრივ შემადგენლობაზე, პედაგოგიურ-შემოქმედებითს მუშაობაზე.

ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება მასწავლებელთა კადრების მომზადების ეს სისტემა.

ბევრი, ძალიან ბევრი საპრობლემო საკითხია გადასაწყვეტი და ამას მთელი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ.

ნ. კიკვაძე,
I საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

ბ. კობახიძე,
77-ე საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

ქ. თბილისი.

ჩვენი მოსაზრებანი

უკეთ რომ ვასწავლოთ

8-წლიანი სკოლის ცალკე გამოყოფა შეუწყობს ხელს ორივე ეტაპის სკოლის ძუშაობის ხარისხის შემდგომ აღძაველობას. მთელ რიგ სოფლებსა და ქალაქებშიც კი მოსწავლეთა უმრავლესობა, რომლებიც ამთავრებენ საშუალო სკოლას, კვლავ უბრუნდება საშუალო განათლების მომცემ პროფესიულ ტექნიკუმებს. ეს რომ არ მოხდეს, უფრო გონივრული იქნება მეორე ეტაპის სკოლაში შემრჩეოლთ პროფილები საწარმოო პროფესიული მომზადების დარგში და შესაძლებლობა მივცეთ 8-წლიანი სკოლის კურსდამთავრებულს შეკვდეს II ეტაპის იმ სკოლაში, სადაც მისთვის სასურველი სპეციალობა ისწავლება. გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის სხვადასხვა დარგი.

8-წლიანი სკოლის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და დაწესებულებებში მუშაობასთან ერთად გაგაგრძონ სწავლა საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებში, ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაუსწრებელ განყოფილებებზე.

საბჭოთა პედაგოგიურ საზოგადოებაში მომწიფებული აზრი იმის შესახებ, რომ სწავლების მეთერთმეტე წელი ერთი წლით სრულიად გაუმართლებლად აგვიანებს ახალგაზრდობის გამოსვლას საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სარბიელზე, მოწონებისა და მხარდაჭერის ღირსია. მიზანშეწონილია „კომუნისტის“ სადისკუსიო წერილის თვალსაზრისი, რომ ჩვენი რესპუბლიკის სკოლებთან შეიქმნას მოსამზადებელი კლასი, რომელშიც მიიღებიან 6 წლის ასაკის ბავშვები.

ამ ასაკში მთავარია მეტყველების განვითარება, წერა-კითხვის შესწავლა, არითმეტიკის სწავლება და ბარტივი ნარმოდგენათა და ცნებათა შემუშავება მათ გარშემო არსებული სინამდვილის შესახებ.

მოსწავლეთა სწავლებას ართულებს აგრეთვე სახელმძღვანელოების დიდ ოდენობა. უმრავლეს სკოლებში სწავლებაში ფესვი აქვს გადგმული ფორმალიზმს. მოსწავლეთა შორის გავრცელებულია შპარგალკებიდან გადაწერა-გადმოწერა. ეს იმითაც აიხსნება, რომ მოსწავლეები ჩაკეტილი არიან მხოლოდ დ, მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოების ჩარჩოებში, არ კითხულობენ კლასგარეშე საძეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას.

გაკვეთილი ისე უნდა იყოს აგებული, რომ თვითეული მოსწავლე მთელი შესაძლებლობით ცდილობდეს აქტიური მონაწილეობა მიიღოს სწავლის პროცესში. საკუთარი აზრები შეიტანოს ტექსტის გარჩევა-განხილვაში, შესწორება შეიტანოს ამხანაგების მიერ დაშვებულ შეცდომებში და თავისი აზრი დაამტკიცოს სათანადო ფაქტების საფუძველზე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ გაკვეთილს არ უნდა მივცეთ წრეობრივი მეცადინეობის ხასიათი.

არასახარბიელო მდგომარეობაა რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეშიც. რუსული ენის გრამატიკული მეთოდებით შესწავლა დიდად აფერხებს რუსული მეტყველების აღზრდა-განვითარებას მოსწავლეებში, რაც იწვევს იმას, რომ მთელი 11 წლის მანძილზე უკმარავი დრო იხარჯება რუსული ენის შესწავლისათვის, მაგრამ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლებში, სრულებით ვერ ფლობს რუსულ ენას. ამისათვის უკეთესი იქნება გრამატიკის სწავლება დაეკვემდებაროს ცოცხალი საუბარ-სასაუბრო ენის სწავლების ამოცანებს.

სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ამოცანას შეადგენს მოსწავლეთა მეორეწლიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. მოსწავლეთა მეორეწლიანობა რომ აღმოიფხვრას, საჭიროა მასწავლებლის პედაგოგიური დახელოვნება, საგნის ღრმად ცოდნა და მასალის ისე გადაცემა, რომ მოსწავლეები შეგნებულად თვისებდნენ შესასწავლ მასალას.

მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის თაობაზე ვერ დავეთანხმებით წერილის ავტორს, ეს კიდევ უფრო გადატვირთავს მოსწავლეს, როდესაც ის ვალდებულია ორი წლის მასალა ერთდროულად ითვისოს. ეს უფრო გაართულებს სწავლებას.

მაგრამ მოსაწონია, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად საწარმოო სწავლების მკრალ დონეზე დაუყენების საქმეში ძიერ-ჩნართ მოსწავლეთა საკანგეტო სასკოლო-თამბორიოს საამქროების და, ეკეთეს შემთხვევაში, ფეიერ ქარხნებისა და ფაბრიკების შექმნა, სადაც მოსწავლეები ძატერიალური ფასეულობის შექმნის პროცესში მიიღებენ პროფესიულ წრთობას.

სოფლების უმრავლეს სკოლებში გაკვეთილის უდიდესი ნაწილი უქმად იკარგება ან ისეა დოწყობილი, ორმ არავითარი სარგებლობა არ მოქვეს მოსწავლეებისათვის. სკოლა ძალიან დაშორებულია საწარმოო ობიექტს. სანამ მოსწავლეები დანიშნულ ადგილას მივლენ, უკვე ერთი გაკვეთილი გადის; სანამ შეუდგებიან საწარმოო ობიექტების დათვალიერებას, კვლავ ერთი გაკვეთილი მთავრდება. არის შემთხვევა, როცა ფერმაში საქონელი უკვე ძოვლილი და გაწმენდილია, ბოსელიც დალაგებულია, საქონელი ისვენებს და შესვლა არ შეიძლება ან მოძღველი მწყემსები არ გამოცხადდნენ თავის დროზე და სხვ. ზოგიერთი ფერმა ისეა მოწყობილი, რომ ბავშვი იქ ვერავითარ ცოდნას ვერ მიიღებს. ბევრ სკოლას არა ქყავს სპეციალისტი მასწავლებლები. მასწავლებლის როლს ასრულებენ უბრალო ხელოსნები და მეურნეები, რომლებსაც ერთწლიანი თუ ორწლიანი კურსები აქვთ დამთავრებული.

არის შემთხვევები, როცა ფერმას არავითარი ხელსაწყო-იარაღები, არავითარი ავტომატიზაცია არ გააჩნია; მოსწავლეებს უხდებათ მხოლოდ ბატეიეს გადაყარა და ბოსლის გასუფთავება ან ეწევიან ისეთ წერილმან უსარგებლო-უშნაბარსს საქმიანობას, რაც მათ არავითარ საწარმოო მომზადებას არ აძლევს. ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე ისეთ ელემენტარულ საქმიანობას, როგორიც არის შუშის დაპობა, სიმინდისა და კარტოფილის თოხნა, ბარგა, ეზოს გასუფთავება, საქონლის ბატეიეს გადაყრა, ბოსლის გასუფთავება და სხვ., თავისთავად სწავლობს, ამ საქმეს სპეციალურ სწავლა არ სჭირდება.

ამიტომ უკეთესია მოეწყოს სასკოლათაშორისო სპეციალური საწარმოო ობიექტები, სადაც იქნება სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყო-იარაღები, ავტომატური მოწყობილობა, ყველა საჭირო ნივთი. ცალკე ექნებათ გამოყოფილი მიწის ნაკვეთი და ექნებათ ყველა ხელსაყრელი პირობა, რაც ნამდვილად შეეწყობს ხელს მეცნიერებათა საფუძვლების ცოდნით შეიარაღებას და შესაძლებელს გახდის მოსწავლეთა მიერ მატერიალურ ფასეულობათა შექმნას.

მ. ჟოჩორაძე,
ბოლნისის რაიონის სოფელ დიდი დმანისის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მეცნიერები — სკოლის შეფი



ქიმიის შესწავლას დიდი უურადღება ექცევა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 28-ე სკოლაში. ახალი სასწავლო წლიდან აქ გაიხსნა ანალიზური ქიმიის ახალი ლაბორატორია. მე-9 კლასიდან მოსწავლეთათვის ეწყობა სპეციალური პრაქტიკული მეცადინეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნ. ჯაფარიძე. ლაბორატორიას დიდ დახმარებას უწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორია, რომელმაც სკოლის ლაბორატორიის შეფობა იკისრა.

• • •

სურათზე: მე-9 კლასის მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობა ლაბორატორიაში პედაგოგ ნ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რა გვაფერხებს, რა გავაკეთოთ

მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისათვის

ეუძლია ჩვენს ახალგაზრდობას იმუშაოს სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში ნაყოფიერად და ამავე დროს გაგრძელოს სწავლა დაუყოვნებლად უმაღლეს სასწავლებელში. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენი სკოლის მუშაობაში ნამდვილად არია მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეები, როკლებიც ხელა უფლიან ცხოვრებასთან სკოლის კავშირის გახეტკეცებისა და საერთოდ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ეს გარემოება აწუხებს პედაგოგებს, სახალხო განათლების მუშაკებს, მეცნიერებს და ფართო საზოგადოებრიობას. აღსანიშნავია, რომ ა. წ. 7 თებერვლის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში „ცხოვრების კარნახით“ დროულად არია დაყენებული პრობლემური საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყოდა საბჭოთა სკოლის იქიდგმი სრულყოფისა და წინსვლის საქმეს.

მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება წერილში დაყენებული ზოგიერთი საკითხის შესახებ, უპირატესად საშუალო სკოლის საწარმოო სწავლების გაუმჯობესების თვალსაზრისით, რასაც, ვფიქრობთ, პირდაპირი გავლენა აქვს აგრეთვე სწავლების მთელ პროცესზე.

მინდა უპირველეს ყოვლისა აღვნიშნო ხელშეშლელი პირობები, რომლებიც აფერხებენ საშუალო სკოლაში საწარმოო სწავლებისა და, საერთოდ, სწავლების მთელ პროცესს. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია შემდეგი:

საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლის სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არასრულყოფილობა; საშუალო სკოლის პროგრამების გადატვირთვა; შესასწავლ პროფესიათა ნომენკლატურის არასრულყოფილობა; საშუალო სკოლისათვის საწარმოო სწავლების სახელმძღვანელოების სიმცირე; საწარმოო თეორიული და პრაქტიკული სწავლების კვალიფიციური კადრების საკმაო რაოდენობით უყოლობა.

სკოლასთან სრულყოფილი სახელოსნოების არსებობის პირობებში სრული შესაძლებლობა იქმნება შრომით სწავლებასთან ერთად ჩატარდეს სპეციალობის თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლება როგორც სწავლების I, ასევე II ეტაპზე.

პრაქტიკული საწარმოო სწავლების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ძის თეორიულ მხარეზე, რაც საშუალებას მოგვცემს საწარმოო სწავლება არ დავიყვანოთ ძარტივ ხელოსნობამდე.

საწარმოო სწავლების II ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტარდებოდეს სასარგებლო შრომა საბაზო ქარხანაში საწარმოო პრაქტიკის სახით და ტარდებოდეს ის კონცენტრირებულად. (კონცენტრირებულ საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილია საცდელად, მაგალითად, პირველი მაისის რაიონის სკოლების IX-XI კლასები, რამაც პროფესიული მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა).

აღსანიშნავია ისიც, რომ საშუალო სკოლებში დღევანდლამდე არადამაკმაყოფილებელია ხაზვის, ზოგადტექნიკური და პროფესიული თეორიული სწავლების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება. ეს ცუდ გავლენას ახდენს საწარმოო სწავლების ხარისხზე.

„კომუნისტის“ სადისკუსიო წერილში სამართლიანად არის დაყენებული არსებული პროგრამების გარდაქმნა-გაუმჯობესების საკითხი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, თუ რამდენად უპასუხებს ამჟამად მოქმედი მეორე საფეხურის სკოლების პროფესიული მომზადებისა და ზოგადტექნიკური საგნების პროგრამები მათდამი წარდგენილ მოთხოვნებს. ვფიქრობთ, რომ მათ შორის არსებობს რიგი შეუსაბამობანი, რომელთა მოწესრიგება ერთი მხრივ გაუმჯობესებდა სწავლების ხარისხს და მეორე მხრივ მოგვცემდა პოლიტექნიკური და პროფესიული მომზადების ხარჯზე განსაზღვრული საათების განთავისუფლების საშუალებას.

უპირველეს ყოვლისა შევნიშნავთ, რომ სპეციალობის თეორიული მომზადების პროგრამებში თემები არალოგიკური თანამიმდევრობით არის განლაგებული. მაგალითად, სრულიად გაუმართლებელია, როდესაც ხარატისა და ზეინკლის პროფესიების სპეციალობათა თეორიული საწარმოო სწავლების პროგრამებში „ძანქანათსამშენებლო მასალები“ ისწავლება, „ძირითადი სახარატო ოპერაციები“ ან „ძირითადი საზეინკლო ოპერაციები“ შემდეგ.

შეუსაბამობაა აგრეთვე სპეციალობათა თეორიული სწავლების პროგრამებსა და ხაზვის პროგრამებს შორის. „ცნობები ტექნიკური ხაზვის შესახებ“ შეტანილია როგორც ხაზვის, ისე სპეციალობათა თეორიული სწავლების პროგრამებში. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხების სწავლებას ძირითადად უნდა უზრუნველყოფდეს ხაზვის სწავლების კურსი. რაც შეეხება სპეციალობის თეორიული სწავლების საგნების მასწავლებლებს, ათ არ ეძლევათ ვალდებულება ემზარმბოდნენ მოსწავლეებს ნახაზების წაკითხვის და ხაზვის ჩვეულების განმტკიცებაში.

საწარმოო სწავლების ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს შესასწავლი პროფესიის შერჩევის სისწორე. რისთვისაც ტექნიკურ-ეკონომიურს გარდა გათვალისწინებულ უნდა იქნას პედაგოგიური ხასიათის მრავალი ფაქტორი და მოსწავლეთა სურვილი. აშკარად საშუალო სკოლებისათვის რეკომენდებულია 400-მდე დაწერილმანუნული სპეციალობა, რაც მიზანშეწონილია.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ საშუალო სკოლისათვის შერჩეული პროფესია ატარებდეს ფართო ხასიათს და ზუსტად ითვალისწინებდეს თანამედროვე წარმოების მოთხოვნებს, პროფესიის პერსპექტიულობას. სირთულეს, კაცისა და ქალის შრომა თავისებურებას და მოსწავლეთა მეცნიერულ-ტექნიკური ინტერესებს დაკმაყოფილებას.

სადისკუსიო წერილში ლაპარაკია არსებული დიდტანაანი სახელმძღვანელოების გატვირთვაზე, რაც სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია, მაგრამ მეტწილ სპეციალობათა თეორიული სწავლების საგნებში უარესი მდომარეობა გვაქვს იმ მხრივ, რომ სულ არ არსებობს სახელმძღვანელოები არამც თუ ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება სახელმძღვანელოების გამოცემის მოსაგვარებლად.

ი. ანდრიაშვილი,
ინჟინერი.

ფთაგონეგით, ფემოქმედეგით

ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ახლანდელ მდგომარეობაზე და შეეცდებით გამოვთქვათ ზოგი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში.

უწინარეს ყოვლისა შეეხოთ პროგრამებს.

ხელთა გვაქვს ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები რვაწლიანი სკოლისათვის, გამოცემული 1963 წელს. პროგრამების განმარტებითს ბარათში, რომელსაც ცხრამეტი გვერდი უჭირავს, ბევრი კეთილი სურვილია გამოთქმული და მოსალოდნელი ბრწყინვალე შედეგებია დახატული, მაგრამ მასალის რაოდენობა, განლაგება და სირთულე არ იძლევა ამ სურვილების შესრულების შესაძლებლობას.

„ერთიანი ეროვნული ენა და ადგილობრივი კილოები, გრამატიკა და მისი ნაწილები. აზრი და სიტყვა“ — ეი რით იწყება ქართული ენის პროგრამა V კლასისათვის. ამას მოპყვება ფონეტიკა (ბგერათა კლასიფიკაცია — მკლერად და ყრუებად, საწარმოთქმო ადგილის მიხედვით და სხვა). მეტად რთული მასალაა, რომელიც შეიძლება სრულიად ამოოღებულ იქნას V კლასის პროგრამიდან. ამას გარდა, თუ გავამარტივებდით ირსებითი სახელის შინაარსობრივი ჯგუფების, განსაკუთრებით ნაცვალსახელთა და სახელთა წარმოქმნის სწავლებას, დავზოგავდით საკმაო დროსაც და ბევშვთა ენერგიასაც.

იგივე მდგომარეობაა VI კლასში, რადგან აქ ისწავლება ზმნა მთელი თავისი სირთულით. ზმნის ყველა, პროგრამით გათვალისწინებული კატეგორიის შესწავლას მოცემული საათებიც არ ეყოფა.

საფუძვლიან ცვლილებებს მოითხოვს აგრეთვე IX-XI კლასების ქართული ლიტერატურის პროგრამებიც. ისინიც ზემოტად გადატვირთულია. ამ კლასებში დამოუკიდებელი აზროვნებისა და თავისუფალი შემოქმედებითი მუშაობის დრო და შესაძლებლობა აღარ არის.

IX კლასიდანვე მოსწავლე ემზადება გამოსაშვები გამოცდებისათვის. მას ყველაზე უფრო ქართული წერის ეშინია, რადგან დალუქული პაკეტები მოითხოვენ მთელი ქართული ლიტერატურის ცოდნას V საუკუნიდან დღემდე. ამასთან დიდი ყურადღება ექცევა ენობრივ შეცდომებსაც: „ფრიადზე“ ნაწერი სრულიად უშეცდომო უნდა იყოს, ხოლო ათი-თორმეტი შეცდომისათვის „ცუდი“ იწერება.

გამბედავს საკმაო შიშით მოელოდნ მასწავლებლებიც. მათ კარგად იციან, რომ თემის დამოუკიდებლად დაწერა, თუნდაც „დამაკმაყოფილებელზე“, კლასში შეიძლება იქნეს ერთ-ორს, ან სულაც ორავს. ამიტომ მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც წინასწარ იქერენ თადარიგს: „ყოველი კლასის ხაპრობრამო ბალიოდან ბოსლოდნელი თემა მუშავდება სწავლის პერიოდში საშინაო დავალების სახით, იგივე თემები იწერება საკონტროლოდ, სწორდება, იხვეწება, ლამაზდება და XI კლასის დამთავრებისას ყველა თემა „დამუშავებულია“. საჭიროა ხელოვნ დამპარგალკება ან გახეტიბრება და... გაიოცდებისათვის „ყველაფერი რიგზეა“.

ასე „დამზადებული“ თემები ერთხელ კიდევ ემსახურება ატროოს — ამკერად ბოსლებ გამოცდებზ!

თვითონ გასაკვირია, შეუძლია თუ არა საშუალო სკოლადამთავრებულს თანაბარ სირთულეში, როცა ამდენი საგანი ისწავლება, იცოდეს მთელი ქართული ლიტერატურა ისე, რომ მოსალოდნელი 60-მდე თემიდან ერთი დაეწეროს სამი საათის განმავლობაში, თანაც — გრამატიკული და სტილისტიკური შეცდომების დაუშვებლად? თვითეული ეს თემა ხომ სადოქტორო დისერტაციად გამოდგება! ასეთი რამ მას არ შეუძლია და, რაც უფრო ეშინოდეთ, ნინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ თავს ვიტყუებთ.

სჯერნა ხდება — მასწავლებელთა გადამზადება, რასაც ამჟამად პრაქტიკაში მიღებული ერთთვიანი შეკრება არ ეყოფა. კურსების ვადა უნდა გაგრძელდეს ექვს თვემდე მაინც.

უნდა შევჩერდეთ ერთ კარიერულ მოვლენაზე. ჩვენი აზრით, გაუმართლებელია დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე შემსვლელთათვის კონკურსი. გამოდის, რომ ვინც კარგი მომზადების მქონეა და კონკურსში იმარჯვებს, იწყებს კვალიფიკაციის ამაღლებას, ვინც მოუმზადებელია, ბრუნდება უკან და განაგრძობს მასწავლებლობას. უნდა ხდებოდეს პირიქით.

უკადანარობა არავის არ ეპატიება, მაგრამ ყველაზე მეტად იგი მასწავლებელს არ ეპატიება, რადგან მას საქმე აქვს ახალგაზრდობის, მომავლის ადამიანის აღზრდასთან.

ქს. ფოცხიშვილი.
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი;

ალ. ფოცხიშვილი.
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტი.

რეპლიკები, წინადადებები

☐ **საკმარისად** მიმაჩნია საშუალო განათლების მისაღებად 10-წლიანი სწავლება. აქედან პირველი ეტაპის სკოლებში შეიდწლიანი სწავლებით, ხოლო მეორე ეტაპისაში — სამწლიანით.

გ. ლანჩავა,
ტყიბულის მეხუთე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

☐ **სწორად** მიმაჩნია შე

კვიპროსი — კვიპროსელებს!

ამერიკის კრახი ვიეტნამში გარდუვალია

რუბის დამცველები აჭიანურებენ სასამართლო პროცესს

ჰავანა, 2 მარტი. (საკდესი). კუბის პრესა კვლავ გაცხოველებით აშუქებს საბჭოთა მთავრობის წინადადებებს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული და სასაზღვრო კონფლიქტების გადაჭრის დროს. ეს წინადადებანი ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში მსოფლიოს ქვეყნების საზელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებისადმი. გაზეთები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის ამ დიდმნიშვნელოვან ინიციატივას, რომელიც შეესაბამება მსოფლიოს ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს.

ხაზს უსვამს რა, რომ საბჭოთა წინადადებებს მტკიცედ უჭირა მხარი კუბის პრემიერმინისტრმა ფიდელ კასტრომ, ხუან მარინელიო აღნიშნავს:

მიუხედავად იმისა, რომ არ წყდება ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედება, კუბა ყოველთვის იბრძოდა და იბრძვის მშვიდობისათვის ყველა ხალხთან, მათ შორის შეერთებული შტატების ხალხთან.

დელი, 2 მარტი. (საკდესი). „წინადადებანი, რომლებიც სსრ კავშირის პრემიერ-მინისტრმა ხრუშჩოვმა გაუგზავნა სახელმწიფოთა მეთაურებს, მაღალი შეფასების ღირსია", — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ქალაქ დელის მერმა ნურუდინ აჰმედმა.

„ეს პოზიტიური ნაბიჯია მთელი მსოფლიოს მშვიდობის დამყარების გზაზე," — თქვა დელის მერმა.

ნ. ვ. პოდგორნი ეწვია საფრანგეთის პრეზიდენტს

პარიზი, 2 მარტი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაური ნ. ვ. პოდგორნი ეწვია საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს დე გოლს.

ნ. ვ. პოდგორნმა დაათვალიერა ელისეს სასახლე საუზმის შემდეგ, რომელიც საბჭოთა პარლამენტარების დელეგაციას პატივსაცემად გამართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუვ დე მიურვილმა.

ნ. ვ. პოდგორნისა და პრეზიდენტ დე გოლის საუბარს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი.

გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში

პარიზი, 3 მარტი. (საკდესი). იმის გამო, რომ აქ იმყოფება უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით, გუშინ საბჭოთა საელჩოში გაიმართა დიდი დარბაზობა. სტუმრებს შორის იყვნენ საფრანგეთის ბევრი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მწერლები და ჟურნალისტები. დარბაზობაზე, კერძოდ, იყვნენ მეცნიერული კვლევის საქმეთა, ატომურ და კოსმოსურ საკითხთა მინისტრი გასტონ პალეზსკი, პარლამენტთან ურთიერთობებს სტატს-მდივანი პიერ დიუმა, საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის მოადგილე და ეროვნული კრების საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე რაიმონ შმატლენი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები: ვალდეკ როშე, ჟაკ დიუკლო, ეტიენ ფაჟონი, რაემონ გიუიო; ყოფილი მინისტრი-სოციალისტები კრისტიან პინო და ჟიულ მოკი.

დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. ჟურნალისტთა ჯგუფი გარს შემოეხვია ნ. ვ. პოდგორნის. მან უპასუხა კითხვებზე. ნ. ვ. პოდგორნის თქვა, კერძოდ, რომ საბჭოთა პარლამენტარების დელეგაციას საფრანგეთში მოგზაურობის დროს ყველგან უაღრესად გულითადად ხვდებოდნენ. დელეგაციის წევრები ხედავდნენ, თუ რა გულწრფელად ესწრაფვიან ფრანგები საბჭოთა ხალხთან მეგობრობის განმტკიცებას.

ყველა ხალხის ინტერესებისათვის

ჰავანა, 2 მარტი. (საკდესი). „ვიეტნამელ ხალხს ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ, — თქვა ხო ში მინმა. — ლათინური ამერიკის ხალხები ხელმძღვანელობენ კუბის რევოლუციის ბრწყინვალე მაგალითით, ერთიანი ფრონტით იბრძვიან და შეუნელებლად მიიწევენ წინ დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზით.

კუბელი ჟურნალისტისათვის გაცემულ პასუხში ხო ში მინმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებს 1965 წლის პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ხალხს, თქვა პრეზიდენტმა, საკმარისად აქვს სურსათი და ტანსაცმელი. ჩვენ წინ მივიწევთ და თანდათანობით უზრუნველვყოფთ ახალი ტექნიკური მოწყობილობით ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგს. ამ კარგ შედეგს ჩვენ ვუმადლით, ერთი მხრივ, ჩვენი ხალხის მამაცურ შრომას, ხოლო მეორე მხრივ— საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სხვა მოძმე ხალხების უანგარო დახმარებას.

ახალი პროვოკაცია

ბელგრადი, 3 მარტი. (საკდესი). დასავლეთგერმანელმა ადვოკატმა შტეტერმა რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო პროკურორს, კარლსრუეში წარუდგინა ბრალდება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის ა. რანკოვიჩის წინააღმდეგ. მას ბრალად სდებს გერმანელ სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პირთა მოსპობას მეორე მსოფლიო ომის წლებში. ამას იუწყებიან გაზეთები „ბორბა" და „პოლიტიკა". ყველაფრიდან ჩანს, რომ ნაცისტთა ამ დამცველის მოქმედება იუგოსლავიის წინააღმდეგ მიმართული ფართო პროვოკაციებისა და ნაცისტების რეაბილიტაციის კიბეში შემადგენელი ნაწილია, ბაზგასმით აღნიშნავენ იუგოსლავიის გაზეთები.

ამას წინათ შტეტერი შეიცადა სასამართლო საქმე დაეწყო იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კ. პოპოვიჩის წინააღმდეგ.

ვულკანის ამოფრქვევა

მოისპო ქალაქი კონარიპე

ნიუ-იორკი, 3 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ვილიარიკის ვულკანის ამოფრქვევის შედეგად მოისპო ჩილის პატარა ქალაქი კონარიპე სანტიაგოდან 870 კილომეტრზე სამხრეთით.

„კონარიპეში ქვა-ქვაზე არ დარჩენილა, — აღნიშნავს პილოტი, რომელმაც გუშინ გადაუფრინა კატასტროფის რაიონს. ქალაქის ადგილას დაეხანავთ მარტო წყალსა და ტალახს". ჩილის პრესის მონაცემებით, ქალაქ კონარიპეში მოისპო ყველა შენობა-80 პროცენტი. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით კატასტროფის დროს დაიღუპა 25 კაცი. ახლომდებარე ქალაქ ტეუკოს პოლიცია აღნიშნავს, რომ კატასტროფის შემდეგ უგზოუკვლოდ დაკარგულთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ ანლა შეუძლებელია ვთქვათ რამდენად დიდია მსხვერპლი.

ჯალათი გონე

ბონი, 2 მარტი. (საკდესი). ბუენოს-აირესში დაეპატიმრეს ნაცისტი დამნაშავე გერჰარდ ბონე, რომელსაც ბრალად ედება 15 ათასი კაცის დახოცვაში თანამონწილეობა. ეს განაცხადა დღეს მაინის ფრანკფურტში ჰესენის გენერალურმა პროკურორმა ფ. ბაუერმა.

ფაშისტურ გერმანიაში ბონე ხელმძღვანელ მონაწილეობას იღებდა ადამიანებს, მათ შორის ბავშვებისა და ჰიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკთა ტყვეებს მასობრივი დახოცვის დანაშაულებრივ აქციაში. ამ აქციის მსვლელობაში ნაცისტმა ჯალათებმა მოსპეს 100 თოხეზე მეტი კაცი. საზარელი ბოროტმოქმედების მთავარმა დამნაშავემ ვ. ჰეიდეშ ახლახან თავი მოიკლა სასამართლოს დაწყების წინ ლიმბურგში.

ფ. ბაუერმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებმა სთხოვეს არგენტინის ხელისუფლებს გადასცეს მათ გ. ბონე.

კვიპროსის დელეგაცია ათენში ჩავიდა

ათენი, 2 მარტი. (საკდესი). დღეს ათენში ჩამოვიდა კვიპროსის რესპუბლიკის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი — ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრი ა. არაუზოსი და შინაგან საქმეთა მინისტრი პ. გეორგიადისი. გეორგიადისმა კორესპონდენტებს განაცხადა, რომ დელეგაცია საბერძნეთის წარმომადგენლებთან ერთად განიხილავს რეზოლუციას კვიპროსის საკითხის გამო, რომელიც უშიშროების საბჭოს ხუთმა წევრმა მუდმივმა წევრმა წარმოადგინა.

კვიპროსის ამგზეგის გამო



ერთი ნატოელი მეორეს: „მგონი არა სჯერათ, რომ დახმარების ხელს ვუწვდით". კამბის კარიკატურა ფრანგულ ყოველკვირეულ „ვი უვრიერიდან".

სამხრეთ ვიეტნამის ხალხი გაიმარჯვებს

ხო ში მინის პასუხი კუბელი ჟურნალისტისადმი

ჰანოი, 2 მარტი, (საკდესი). „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს ექვს კანონიერ მოთხოვნას, რომლებიც გამოხატავენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხის ყველაზე მხურვალე მისწრაფებებს, — განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა კუბელი ჟურნალისტის ბალდომერე ალვარეს რიოსისათვის გაცემულ პასუხში.

ამ მოთხოვნათა არსი, რომლებიც გასული წლის ნოემბერში გამოაქვეყნა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ეროვნულმა ფრონტმა, ის არის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ შეიარაღებული აგრესია, გაიყვანონ თავისი ჯარები და საშუალება მისცენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხს თვითონ გადაჭრას თავისი საშინაო საქმეები; სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა უნდა შეწყვიტონ ძმათა სისხლისმღვრელი ომი, უზრუნველყონ პირობები თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებისათვის ისეთი მთავრობის შექმნის მიზნით, რომელიც გამოხატავს ხალხის გულისთქმას, შეუდგნენ ვიეტნამის მშვიდობიან გაერთიანებას ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა საფუძველზე. როგორც ვიეტნამის სინფორმაციო სააგენტო იუწყება, ხო შინ მინმა თქვა, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა ცხრა წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში სამხრეთ ვიეტნამში ომს მოახმარეს სამ მილიარდ დოლარზე მეტი, გაგზავნეს სამხრეთ ვიეტნამში 25 ათასი სამხედრო „მრჩეველი", დიდძალი თვითმფრინავი, ქვემეხი და ქიმიური ნივთიერება, მაგრამ ამერიკელთა მდგომარეობა ვიეტნამში მაინც გამოუვალია. „რამდენი დოლარიც უნდა ხარჯონ ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რამდენი იარაღი და ჯარიც უნდა გზავნონ სამხრეთ ვიეტნამში, ეს მათ ვერაფერს უშველის".

ვიეტნამელი ხალხი ინტერესით ადევნებს თვალყურს ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლას ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ, — თქვა ხო ში მინმა. — ლათინური ამერიკის ხალხები ხელმძღვანელობენ კუბის რევოლუციის ბრწყინვალე მაგალითით, ერთიანი ფრონტით იბრძვიან და შეუნელებლად მიიწევენ წინ დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზით.

კუბელი ჟურნალისტისათვის გაცემულ პასუხში ხო ში მინმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებს 1965 წლის პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ხალხს, თქვა პრეზიდენტმა, საკმარისად აქვს სურსათი და ტანსაცმელი. ჩვენ წინ მივიწევთ და თანდათანობით უზრუნველვყოფთ ახალი ტექნიკური მოწყობილობით ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგს. ამ კარგ შედეგს ჩვენ ვუმადლით, ერთი მხრივ, ჩვენი ხალხის მამაცურ შრომას, ხოლო მეორე მხრივ— საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და სხვა მოძმე ხალხების უანგარო დახმარებას.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 3 მარტი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ხუთმა არამუდმივმა წევრმა — ნორვეგიამ, ბოლივიამ, ბრაზილიამ, მაროკომ და სპილოს ძვლის ნაპირმა — უშიშროების საბჭოში შეიტანეს ერთობლივი რეზოლუციის პროექტი კვიპროსის საკითხზე.

რეზოლუციის პროექტში გამოთქმულია რჩევა „რომ კვიპროსის მთავრობის თანხმობით შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები კვიპროსში მშვიდობის დასაცავად".

თათბირი პრეზიდენტ ჯონსონთან

ვაშინგტონი, 3 მარტი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი ეთათბირა თავდაცვის მინისტრს რობერტ მაკნამარას და სახელმწიფო მდივანს დინ რასკს სამხრეთ ვიეტნამში შექმნილ მდგომარეობასა და მაკნამარას იქ გამგზავრებასთან დაკავშირებით.

თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში პიერ სელინჯერმა განაცხადა, რომ მაკნამარა ამ კვირის დამლევს უნდა გაფრინდეს საიგონში.

სიცოცხლის მესაიდუმლე

აკადემიკოს ა. ოპარინის დაბადების 70 წლისთავის გამო

□

სიცოცხლე! — რა საოცარი, თან მარტივი და თითქოს ადვილად შესაცნობი, თანაც უაღრესად რთული და საიდუმლოებით მოცული მოვლენაა იგი.

ვის არ გაუცდია სიცოცხლის სიტკბო და სილამაზე, ვინ არ მოჯადოებულა მისი მრავალფეროვნებითა და უსასრულობით. რა არ დაწერილა მასზე!

ადამიანის გონებას ყოველ დროში იზიდავდა სიცოცხლის არსი და ბუნება, მისი შორეული ფესვების ძიება და განვითარების ამოცნობა. სხვადასხვა ხანაში, კულტურის სხვადასხვა საფეხურზე სიცოცხლის წარმოშობასა და რაობას სხვადასხვა ახსნა ეძლეოდა. და მაინც ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედამდე ეს ნახევა მომდევრება, რომელიც შუქს მოპფენდა მრავალ ათასწლეულ საკითხს, თუ როგორ წარმოიშვა ცოცხალი არსება მატერიის ხანგრძლივი გარდაქმნის პროცესში.

1924 წელს ახალგაზრდა საბჭოთა მკვლეველმა ალექსანდრე ოპარინმა წამოაყენა ჰიპოთეზა დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. იგი გონების თვალით მილიარდი წლების წინანდელ დედამიწაზე გადასახლდა, კვალდაკვალ მიპყვა ნახშირბადის პირველ ატომებს და მათთან ერთად განვლო უსასრულო გზა ნახშირბადისა და ნახშირწყალბადების უმარტივესი მოლეკულებიდან პირველ ცოცხალ არსებამდე.

ა. ოპარინმა გადალახა ის თითქოს უძლეველი ხღუდე, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში სიცოცხლის წარმოშობის პრობლემის მკვლევარებს გადაღობა. მან დაამტკიცა, რომ სიცოცხლის წარმოშობა კანონზომიერი პროცესია და მატერიის საერთო ისტორიული განვითარების ნაწილია. ოპარინმა ეს ფაქტი ნაგულისხმევ ნაბიჯად ჩათვალა ადამიანის ფანტაზიისა და ინტელექტის ბრწყინვალე ნაყოფად, ეს ნაბიჯი ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში ადამიანებმა ელექტრონული ტელესკოპებისა და ელექტრონული მიკროსკოპების საშუალებით გადადგეს. ეს ნაბიჯი ადამიანებმა ატომურ ენერგიის ათვისებისა და ბირთვული ენერგიის ათვისებისა და ბირთვული ენერგიის ათვისებისა და ბირთვული

ბაქო 1964 წელს



ბაქო. (საკდესის კორ.). განზრახულია აზერბაიჯანის დედაქალაქში ბ წელს ახალი საცხოვრებელი რაიონების შექმნა. ქალაქის ძველი ნაწილის რეკონსტრუქცია და თანამგზავრი ქალაქების მშენებლობა. ვარაუდობენ საეკსპლოატაციოდ გადასცენ 400 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სხვა დანიშნულების ბევრი ობიექტი.

აეროპორტში აღმართა აეროვაგზლის ახალი მსუბუქი, ნათელი შენობა. მას აქვს 1500-ადგილიანი მოსაცდელი დარბაზი, რესტორანი და სხვა სათავსები.

წელს ბაქოელ ქალაქმშენებელთა ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანი — ქალაქის ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ცენტრის განაშენიანება. ეს განხორციელდება სანეიმო — მონუმენტური პლანით არქიტექტორთა იმ ჯგუფის პროექტის მიხედვით, რომელსაც მ. უსეინოვი უდგას სათავეში. გათვალისწინებულია აქ აგებულ იქნას 50 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ვ. ი. ლენინის მოედანზე ძირითადად ცხრასართულიანი სახლები აშენდება.

აზერბაიჯანის დედაქალაქს დაამშვენებს მეცნიერებათა აკადემიის უბანი, პანორამული კინოთეატრის. ცირკის, სბავშვო უნივერმაღის, რამდენიმე სასტუმროს ორიგინალური შენობები.

ქალაქის ცენტრში, ბაქოს ძველი ციხე-სიმაგრის ვიწრო და მრუდე პატარა ქუჩების ადგილზე, შეიქმნება მშრომელთა დასვენების ზონა. აქ გაიხსნება რესტორანები, კაფეები, კინოთეატრები, წყალჯამარდობის კომპლექსი, გაშენდება ბაღი.

მუსიკალური სკოლა საზოგადოებრივ საწყისებზე

კიროვობადში ორჯონიკიძის სახელობის კომბინატის ფეიქართა კლუბთან გაიხსნა თავისებური მუსიკალური სკოლა. ჯერ მუშაობს მხოლოდ ფორტეპიანოს კლასი, სადაც კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა 30 ბავშვი სწავლობს. ერთ ჯგუფში მეცადინეობა საზოგადოებრივ საწყისებზე მიჰყავს თვითნასწავლ კომპოზიტორს ენგიბარ ჯაფაროვს.

მალე აქ გაიხსნება სახალხო ინსტრუმენტების კლასიც.

კლანჭაცია—ვეჭვერანი

ოცდაათი წელი შესრულდა, რაც ლენინგრადში დაარსდა სუბტროპიკული კულტურების ზონალური საცდელი სადგური, რომელსაც შემდგომ აზერბაიჯანის მეციენსეობის, მებაღეობისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტს ლენინგრადის ფილიალი ეწოდა. ამ ხნის განმავლობაში სუბტროპიკული მცენარეების — ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის შესწავლა და მათი ლენინგრადის ზონის კოლმეურნეობა — საბჭოთა მეურნეობებში დანერგვის საქმეში.

არის აქ ნაკვეთი რეკორდსმენიც. ეს აზერბაიჯანში ყველაზე ძველი ჩაის პლანტაციაა. მოცულობით იგი დიდი არ არის, მაგრამ მოსავლით ვერ შეედრება ვერც ერთი ამ ზომის პლანტაცია არც კავკასიაზე, არც იაპონიაში და ჩინეთში. გამოთვლილია, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში იგი 10-11 ტონამდე ჩაის ფოთოლს იძლევა ჰექტარზე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ვაზისუბნიდან გულგარეთში

„**ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ**, ვაზისუბნის კოლმეურნეობას. თქვენ მიერ გამოგზავნილი ლერწი უნაკლო გამოდგა. ნამყენმა საუკეთესოდ იხარა. გმადლობთ“.

ასეთი ვადლობის წერილი თითქმის ყოველწლიურად მოდის გულგარეთიდან ვაზისუბანში. მოდის იმიტომ, რომ ვაზისუბანელები რეაყენთლისა. და საფერავის საუკეთესო ხარისხის ლერწს გზავნიან გულგარეთში. წელს ვაზისუბანელებმა ოთხი მილიონი ცალი ლერწის დაკვეთა მიიღეს გულგარელი მეგობრებისაგან.

ი. გოძსაძე.

საჩუქარი ნორჩებს

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ. (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს საჩხერელმა ნორჩმა ალპინისტებმა. დაბა საჩხერეში ამას წინათ დამთავრდა სბავშვო ბაღის ახალი შენობის აგება. ბაღი ასი ბავშვისთვის არის განკუთვნილი. იგი ბრათუელმა მშენებლებმა აიგეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: სბავშვო ბაღის ხედი.

ფოტო ა. მაჭავარიანისა.



ᲐᲖᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

მსოფლიო პირველობის მოსკოვის ზონალურ ტურნირზე ჰავრიკში ასლოვდება ფინეთში. მართალია, გადამწყვეტ ეტაპზე გამწვავდა ბრძოლა, მაგრამ ლიდერთა ჯგუფში ჯერჯერობით არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მეორე წრეში განსაკუთრებით გაძლიერეს ტემპი სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. შტეინმა და გროსმაისტერმა ბ. სპასკიმ. პირველმა სამ ტურში 2,5 ქულა შეაგროვა, მეორემ ოთხ ტურში — 3 ქულა.

გუშინ გაიმართა მე-11 ტური. 5 საათის ბრძოლის შემდეგ მხოლოდ ერთი პარტია აღმოჩნდა შედეგიანი. დანარჩენი ორი გადაიდო. ლ. შტეინისა და ბ. სპასკის პარტიაში გათამაშდა ძველი ინდიური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. მშვიდი დებიუტის შემდეგ მეტოქენი არ ცდილან ბრძოლის გამწვავებას და 31-ე სვლაზე უაზროდ შეთანხმდნენ. დ. ბრონშტეინ-ე. გელერის პარტიაში პოზიცია დაახლოებით თანაბარია, ხოლო ვ. კორჩნოი-ა. სუეტინის პარტიაში შავები ინარჩუნებენ პოზიციურ უპირატესობას.

11 ტურის შემდეგ ლიდერია ბ. სპასკი, რომელსაც 5,5 ქულა აქვს ათიდან. ბრონშტეინს 5 ქულა აქვს რვიდან, ლ. შტეინს — ამდენივე ქულა ცხრიდან.

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲝᲠᲘ კვირის შესვენების შემდეგ კალათბურთელთა უძლიერესი კოლექტივები თბილისში დაბრუნდნენ. ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ეს იქნება ფინალის უკანასკნელი ეტაპი.

როგორია დასკვნითი ტურის წინ მეტოქეთა, პირველ რიგში ლიდერთა მდგომარეობა?

ᲥᲐᲚᲗᲐ გუნდებს შორის ჩემპიონობის რეალური შანსები აქვს რიგის ტრამვაიტროლეიბუსის ტრესტის „კალათბურთელთა კოლექტივს, რომელიც უახლოეს მეტოქეს 5 ქულით უსწრებს ლენინგრადის ს.კა-ს, რომელიც მეორე ადგილზე იმყოფება, 11 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა ტამკენტის „ტექსტილელმაში“ (10 ქულა). ცხრა-ცხრა ქულა აქვთ ტარტუს უნივერსიტეტისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ გუნდებს. მოსკოვის „სპრა ი მოლოტს“ 8 ქულა აქვს, სარეკორდოელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებს — 7 ქულა.

ᲗᲕᲘᲗᲐ გუნდებს შორის ლიდერია ცხა, რომელსაც 16 შესაძლებლიდან 15 ქულა აქვს. რიგის სკა-ს 13 ქულა აქვს, კიევის „სტროიტელს“ — 12 ქულა, კიევის სკა-ს და თბილისის „დინამოს“ — ათ-ათი ქულა, ტარტუს „კალევისა“ და ლენინგრადის „სპარტაკს“ რვა-რვა ქულა.

ᲫᲘᲣ-ᲓᲝᲘᲡᲢᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

მოსკოვში ი. პოდუბნის პრიზის გათამაშებას კლასიკურ ჭიდაობაში მოჰკვა საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუ-დოში.

პირველ დღეს პაექრობა ჭრონდა წუბუქი წონის მოჭიდავეებს. აქ უძლიერესი აღმოჩნდა იაპონელი ძიუ-დოისტი ნაკატანი, რომელმაც ფინალში მცირე უპირატესობით დაამარცხა საბჭოთა მოჭიდავე ო. სტეპანოვი. მესამე ადგილი დაიკავა თ. მადალთაძემ.

გუშინ გაიმართა საშუალო წონის ძიუ-დოისტთა ასპარეზობა. გაიმარჯვა იაპონელმა ისაო ოკანამ. მეორე ადგილი დაიკავა ნონიკაშვილმა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

Ი. ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲐ—ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით სვერდლოვსკში გამართულ სსრ კავშირის პირველობაზე ჩქარონსულ ციგურაობაში ვაჟთა შორის. ორგრიც ცნობილია, აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მინსკელმა სპორტსმენმა ედუარდ მატუსევიჩმა მოიპოვა.

ვაჟთა ასპარეზობის შემდეგ ბრძოლაში ჩაბნეულ ქალები, სადაც ახალგაზრდა მოციგურავეებთან ერთად გამოდიოდნენ მსოფლიოს და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები, პრიზიორები, რომელთა სპორტული მიღწევები საერთოდ აღიარებულია. ესენი იყვნენ ლ. სკობლიკოვა, ი. ვორონინა, ი. ეგოროვა, თ. რილოვა და სხვ.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ასპარეზობა 500 მეტრზე რბოლით დაიწყო. არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად ნაბეგენები იქნა მაღალი ჩვენებები. ბრძოლის დასაწყისში უკეთესი დრო — 45,4 წამი აჩვენა ტ. სიდორეკოვამ. სტარტი აიღეს მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა აბსოლუტურმა ჩემპიონმა ლ. სკობლიკოვამ და ი. ვორონინამ. ორივემ ერთ-ერთ ადგილზე ბრძოლა ერთ-ერთ ადგილზე ბრძოლა ერთ-ერთ ადგილზე ბრძოლა